

# შოთა გოგიბერიძე – „ქართული ოცნების“ მიერ შემოთავაზებული საარჩევნო კანონმდებლობა ხელისუფლების უზურპაციისა და საარჩევნო პროცესზე ძალადობის საფუძველს აყალიბებს“



ცენტრალური, საოლქო და საუბუნო-საარჩევნო კომისიების-ადმი ნდობის ზარისხს, უპირველეს ყოვლისა, მათი საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა განაპირობებს. პარტიული გაერთიანება „სა-

ქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრობის კანდიდატის **შოთა გოგიბერიძის** აზრით კი, „ქართული

ოცნების“ მიერ შემოთავაზებული საარჩევნო კანონმდებლობა ხელისუფლების უზურპაციისა და საარჩევნო პროცესზე ძალადობის საფუძველს აყალიბებს.

„მიუხედავად დაპირებებისა, არ გადადგმულა არც ერთი ნაბიჯი ნაციონალური რეჟიმის დროს არსებული საარჩევნო კანონმდებლობის ლიბერალიზაციისა და დემოკრატიზაციისაკენ. პირიქით, შემოთავაზებული კანონები სახელისუფლებო ძალას ცალსახად უტოვებს ყველა საარჩევნო მანიპულაციის ბერკეტს.

საარჩევნო კომისიის 13 წევრიდან 11 ხელისუფლების ინტერესის გამტარებელი და კონტროლს დაქვემდებარებული იქნება. არ გაითვალისწინეს ოპოზიციის შეთავაზებული არც ერთი საკითხი. არც ის, რომ კომისიები სამართლიანი

პარიტეტის პრინციპით ჩამოყალიბებულიყო და არც ის, რომ საჭიროების შემთხვევაში, გაზრდილიყო კომისიის შემადგენლობა.

მუნიციპალიტეტის გამგებელს (მერს) მიანიჭეს უფლებამოსილება ოფიციალურად გამოითხოვოს საარჩევნო კომისიიდან ამომრჩეველთა დაზუსტებული სიები და, კარგად მოგვესწინებათ, რისთვის იქნება ეს ინფორმაცია გამოყენებული.

კიდევ ერთი ახალი რეგულაცია, რომელიც საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, ანუ საარჩევნო ადმინისტრაციის სახელისუფლებო გუნდის ხელმძღვანელს აძლევს უფლებას არჩევნების დღეს კომისიიდან გააძევოს ნებისმიერი არასასურველი კომისიის წევრი, ყველაფერთან ერთად, საკანონმდებლო, იურიდიული და სამართლებრივი აპსურდის გამო-

ხატულება. თუ საარჩევნო სუბიექტს თავისი კვალიფიკაციის ზარისხის შესაბამისად, უფლება აქვს იფიქროს წევრი საარჩევნო კომისიაში, ნორმატიული აქტების შესახებ კანონმდებლობის სრულ შეუსაბამობად მიმჩნია კანონით მინიჭებული უფლებამოსილების განზოცოების შეჩერება ან შეწყვეტა ადმინისტრაციული აქტით (კომისიის თავმჯდომარის ბრძანებით).

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, კვლავ დაურეგულირებელი დატოვეს არჩევნების დღეს საარჩევნო ავტაციის საკითხი, რომელიც შეეხებოდა კომისიის შენობიდან 100 მეტრის რადიუსში საავტაციო საქმიანობის აკრძალვას. ე.ი. კვლავ ვინაიდან საარჩევნო კომისიების შესასვლელში სიებით „ხელდაშენებული“ მთავრობის კოორდინატორებს.

ვერანარ კრიტიკას ვერ უძლებს ე.წ. „შესწორების ოქმის“ საკითხიც, რომლის მეშვეობით კომისიის უმრავლესობას უფლება აქვს შემაჯამებელ ოქმში შეიტანოს სასურველი ცვლილებები.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ამ პროცესის მიმართ რა ნდობის ზარისხზე შეიძლება იყოს საუბარი?!“- ამბობს შოთა გოგიბერიძე.

გოგიბერიძისგან განსხვავებით, საოლქო საარჩევნო კომისიებს ნდობას უცხადებს მიხეილ გოგოტიშვილი ოზურგეთში მერობის კანდიდატი „ვეროსი“ საკრებულოდან:

**მიხეილ გოგოტიშვილი**

„ჩემი დამოკიდებულება საოლქო საარჩევნო კომისიებისადმი არის დადებითი,



# კ ა ლ ი ო ნ ი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოსვლის 1931 წლის 5 იანვარიდან

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გა ზ ე თ ი .

ქვეყნის მთავარი გაზეთი. № 34 (10228) 4 სექტემბერი, 2017 წ. შპსი 50 0100000.

## „ასკანობა“ იმედიანად გაიმართა



**ალიონი.** 2001 წლის 30 აგვისტოს, ასკანის ქრისტეს ამაღლების სახელობის ტაძრის კურთხევის დღეს, რომელიც აშენდა ასკანელი ზაურ ჩხაიძისა და მისი ვაჟების, გორა, ზურაბ, ჯიმშეთის ფინანსური დახმარებით და სოფელ ასკანის მცხოვრებთა მონაწილეობით, ჩხაიძეების მიერ დაწესდა დღესასწაული „ასკანობა“, რომელმაც პოპულარობა მოიპოვა და ასკანის თემის მიდებარე სოფლების მცხოვრებთა დიდი თავშეყრისა და სპორტული პაექრობის ადგილი გახდა.

ბოლო წლებში სოფელ ასკანაში რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა, მათ შორის გამოყოფილი მთისპირის-ასკანა-შხანი-მალაღი ეწერის წყლის სისტემის, ბაზი-მშვიდობა-ასკანას ასფალტირებულ გზას, რომელმაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა სოფელთან კომუნიკაცია. კომპანია „როიალ ასკანა“ სოფელში დენის გადაამუშავებელ საწარმოს აშენებს, რომლის მშენებლობა მომავალ წელს დასრულდება.

ჩხაიძეები სოფელში გაჩენილ ყველა ახალშობილს დახმარების სახით 200 ლარს აძლევს. წელს 5 ახალშობილი შეემატა სოფელს.

წელს ჩხაიძეების ძალისხმევით



## კახელებმა ატამს მდინარეში გადაუხადეს, გურულები თხილს სანაგვე ბუნკერებში ყრიან

**თემურ მარშანიშვილი**

დიას, კახელებმა ატამის უხვ მოსავალს რომ ვერაფერი უსამველეს, ადგნენ და მდინარეში გადაუხადეს, გურულები კი სიმწრით მოწყულ, მიძღები პუნქტებისაგან დაწუნებულ თხილს ქალაქის სანაგვე ბუნკერებში ყრიან. კახელებს კიდევ არაუშავთ, ყურძნის სახით, წლის შემოსავლის რაღაც რეზერვი მინც აქვთ, ღატაკი გურულებისთვის კი თხილი უკანასკნელი იმედია, რომელსაც სასიკეთო პირი ნამდვილად არ უჩანს. აქ, რა თქმა უნდა, მხედველობაში არ არის მისაღები საკარმიდამო ნაკვეთებში აღაგ-ალაგ შემორჩენილი ციტრუსოვნების მიხერული მოსავალი.

გასული კვირის პარასკევს ოზურგეთში თხილის სარეალიზაციო ფასი 2,70-2,80 ლარის ფარგლებში მერყეობდა.

„ზარისხზეა დამოკიდებული, თუ 10 ცალიდან 7-8 ცალი საღია, სამ ლარამდე ვუხდით“, - განგვიმარტა სასტუმრო „გურიას“ უკანა ეზოს ტერიტორიაზე ერთ-ერთი მიძღები პუნქტის წარმომადგენელმა, რომელმაც ჩვენთან გასაუბრებამდე ახალგაზრდა კაცს საერთოდ უარი უთხრა თხილის მიღებაზე.

— რატომ არ ჩაიბარეთ იმ ახალგაზრდის თხილი?  
— უზარისხო თხილს ვერ



ჩავიბარებთ.

— არ გაგისინჯავთ და...  
— გადავხედე და მივხვდი, 40 პროცენტზე არ იქნებოდა საღი. მასეთ თხილს რომელი ქარხანა მიიღებს?

— თქვენ აიღეთ თუ გინდათ, — დილოგში უხეშად და მწყურალად ჩაგვერთო მესამე პირი, რომელიც, როგორც ჩანს, ვისაც ვესაუბრებოდი, იმის პარტნიორი იყო.

ჩემთან მოსაუბრე მიხვდა, რომ უხამს რეპლიკას უპასუხოდ არ დავტოვებდი, ხელი გამომდო და მითხრა:

— ნუ მაქცევ ყურადღებას, ჩამოსული კაცია, ჯერჯერობით ისე არ წაუვიდა ბიზნესი, როგორც ელოდა და ცოტათი გაღიზიანებულია.

მიძღები პუნქტების თანამშრომლებმა, თითქოს დასახვერტა სიას ვადგენდით, უარი მითხრეს, ვინაობის გამხელაზე. ათი გამოკითხულიდან მხოლოდ ერთი, ქალბატონი მარინა ბერძენიშვილი გაამეცნა:

— მარინა ბერძენიშვილი გავხლავართ, მიღებულ თხილს „ქართულ ინგრედიენტებს“ ვა-

ბარებ, რომელთანაც გაფორმებული მაქვს კონტრაქტი. მისაღები ფასი დამოკიდებულია ზარისხზე. 70%-იან თხილზე არის მოთხოვნილება.

— ზარისხს ვინ საზღვრავს და როგორ?

— ქარხნიდან მოწოდებული მეთოდით ჩვენვე ვსაზღვრავთ ადგილზე, ჩამბარებლის თანდასწრებით. 10 ცალი ნიმუშიდან რამდენი საღი დაიწინდება, იმდენ 30-40 თეთრს ვანგარიშობთ კილოგრამზე.





### გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შუთერთ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;
- სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საკალო ფასი: 50 თეთრი, ხელმოწერა:**  
**ერთი თვით - 2 ლარი,**  
**სამი თვით - 6 ლარი,**  
**6 თვით -12 ლარი,**  
**ერთი წლით - 24 ლარი.**

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუთორიზაციის ინ-ახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

**სარეკლამო კომპანია**  
**რედაქტორი**  
**ნუგზარ ასათიანი**  
 nugzarasatiani@rambler.ru  
 558 499100  
**საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:**  
**თემურ მარშანიშვილი**  
 tem52@mail.ru  
 599 373515  
**კომპიუტერული უზრუნველყოფა**  
**გიორგი გოგონაძე**  
 gia\_77@mail.ru  
 551 576060  
 რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ებისკოპოსის ქ.№3  
 ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311  
 გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“  
 მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი ოქმბათი აციონზე  
 «ალიონით»

### ოზურგეთში ახალგაზრდა ქალი, მცირეწლოვანი და მეზობელი დაჭრეს




**ალიონი.** 30 აგვისტოს, საღამოს საათებში, ქალაქ ოზურგეთში, მალაზონიას ქუჩაზე დაჭრეს ახალგაზრდა ქალი, მცირეწლოვანი შვილი და მისი მეზობელი.

თვითმხილველთა თქმით, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ახალგაზრდა მამაკაცი სანადირო თოფით სახლში მიუვარდა ყოფილ მეუღლეს და სანადირო თოფით დაჭრა ყოფილი სიდედრი და მცირეწლოვანი ბავშვი, არეულობაში ამ ამბის შემსწრე მეზობელიც ზედ მიაყოლა.

სამივე დაჭრილი გადაიყვანეს საავადმყოფოში, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამჟამად სტაბილურია. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. გამოძიება მიმდინარეობს სსკ 177-ე მუხლით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება).

### ვასილ ჩიგოვიძე ოზურგეთის დრამატულ თეატრს 4 წელი უხელმძღვანელებს



**ალიონი.** ვასილ ჩიგოვიძე ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის დრამატულ თეატრს 4 წელი უხელმძღვანელებს, გასულ პარასკევს, ამის შესახებ საქართველოს კულტურის მინისტრის მიხეილ გიორგაძის ბრძანება ვასილ ჩიგოვიძემ გაავრცინა. —თეატრი დაარსებულა 150 წლის-თავის აღსანიშნავად ემზადება. იცით, ფონდი „ქართუ“ ოზურგეთის თეატრის სრულ რეაბილიტაციას ახორციელებს და სპექტაკლებს მშენებლობის პერიოდში სოფელ გური-

ანთის კულტურის სახლში ემართავთ. დირექციის დროებითი ადგილსამყოფელი ქ. ოზურგეთში, გაბრიელ ებისკოპოსის 3-ში მდებარე ყოფილი ქალაქის მერიის შენობის მეორე სართულზე მდებარე 2 დიდი ოთახი იქნება. ამ ეტაპზე აქ გაიმართება რეპეტიციებიც - გვითხრა **ვასილ ჩიგოვიძემ**. ვასილ ჩიგოვიძე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ქართული ოცნების“ პარტიული სიაში პირველ ათეულშია შეყვანილი.

### ზინ იყრის კენჭს ოზურგეთში „ქართული ოცნებიდან“

**ალიონი.** გავრცელებული ინფორმაციით ოზურგეთში „ქართულმა ოცნებამ“ პარტიული სია დაამტკიცა, რომლის პირველი ათეული ასე გამოიყურება: **დავით დარჩია, გიორგი ლურჯუშელიძე, მარიკა ჩხიკვიშვილი, ლავრენტი ბიგვავა, ქეთი ვასაძე, ბახვა დო-**

**ლიძე, ხათუნა ცერცვაძე, ვასილ ჩიგოვიძე, გეგა ჩავლეიშვილი, გიორგი ჭკუასელი.** ასევე ცნობილია, რომ ქალაქ ოზურგეთის სამ მაჟორიტარ უბანში ოცნებიდან კენჭს **ლელა საჯავია, ლევან თოიძე** და **მამუკა გოგუაძე** იყრიან.

### ბათავის უფლება თუ უფლებამოსილების უმჩინებელი კანონის შესაბამისად?

**ალიონი.** გასული კვირის ბოლოს გავრცელდა ინფორმაცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლების თანამდებობებიდან გათავისუფლების შესახებ, რის შესახებაც კომენტარი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს **ხათუნა სურგულაძეს** ვთხოვეთ კომენტარი: — შრომით ხელშეკრულებაში არ იყო განსაზღვრული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენლებისთვის ვადამდე ადრე შეწყვეტის შესახებ, მაგრამ იცით, ოზურგეთის

მუნიციპალიტეტის გამგებელს მერაბ ჭანუყვაძეს შეუწყდა უფლებამოსილება მისი გურიის გუბერნატორად დანიშნვის გამო. შესაბამისად მოხდა ხელშეკრულების შეწყვეტა მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენლებისთვის (სულ 41 კაცი).

უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი თუ ვის გაუგრძელდება ხელშეკრულებით უფლებამოსილება და ვის არა, ამ ეტაპზე სხვა ინფორმაციას არ ვიცნობ — გვითხრა ხათუნა სურგულაძემ.

### „მაგთის“ არ დაანებეს კოლეჯის თავე ანტენის დამონტაჟება

**ალიონი.** ქალაქ ოზურგეთში ადგილობრივმა მოსახლეობამ მობილური კავშირგაბლბის კომპანია „მაგთის“ არ დაანება კოლეჯ „პორიზონტის“ სახურავზე ანტენის დადგმა და დამონტაჟება. ჭავჭავაძის გამზირზე, კოლეჯის მოპირდაპირე მხარეს მდებარე ორი საცხოვრებელი კორპუსის მობინადრეთა თქმით, ასეთი ანტენები საცხოვრებელი ბინების ფანჯრებში არ უნდა შედიოდეს და საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს მოსახლეობის ჯანმრთელობას. კოლეჯის თავეზე „მაგთის“ ანტენის განთავსების წინააღმდეგია



უბნის მოსახლეობის უმეტესობა. ხსენებული ანტენა დამონტაჟებული იყო ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის სახურავზე, სადაც ამჟამად დიდი სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

### „black sea arena“-ზე შავი ზღვის ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალის ბალა კონცერტი გაიმართა

მეტი მონაწილე ქვეყანა, მეტი ფოლკლორი, მეტი მრავალფეროვნება!



შავი ზღვის ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალის ტრადიციულად შავი ზღვისპირეთში ტარდება და წელს მას, გურიასთან ერთად, აჭარაც მასპინძლობდა. ფესტივალმა სტარტი ბათუმის საზაფხულო

თეატრში აიღო. ფესტივალის ფარგლებში კონცერტები მიმდინარეობდა ურეკის კულტურის სახლშიც. კონცერტში, რომელიც ყველა დაინტერესებული პირისთვის უფასო იყო, მონაწილე

ობდნენ ქართული ფოლკლორული ჯგუფები: „შემოქმედი“, „რეხული“, „ამაღლება“, „ადილი“, „მირიანი“, „შილდა“, ასევე შემსრულებლები უკრაინიდან, სომხეთიდან, პოლონეთიდან, იტალიიდან და თურქეთიდან.

აღნიშნული ფესტივალის 2 სექტემბერს, გრანდიოზული გალა კონცერტით ლაცკ შუა რენა-ზე დასრულდა. მნიშვნელოვანია, რომ გალა კონცერტზე დასასწრები ბილეთის ღირებულება 5 ლარიდან იწყებოდა. - ფლამენგოს შემსრულებელი ესპანური ჯგუფი „ონეტა & ლამენცო“ სპეციალური სტუმრის სტატუსით ფესტივალის გალა კონცერტზე, მაყურებლის წინაშე ცეცხლოვანი შოუთი წარსდგა.

წელს ფესტივალის სამი დღის განმავლობაში გრძელდებოდა და 7 ქვეყანას მასპინძლობდა. მაყურებ-

ლის წინაშე ესპანეთის, იტალიის, პოლონეთის, უკრაინის, სომხეთის, თურქეთისა და საქართველოს ფოლკლორული ანსამბლებმა წარმოადგინეს თავიანთი ქვეყნები უნიკალური ხალხური ტრადიციები, სიმღერები და ცეკვები.

ფესტივალს ოფიციალურ მხარდაჭერას უცხადებდა დიპლომატიური და მის წარმატებულად ჩატარებაში დიდი წვლილი შეიტანეს იტალიის, თურქეთის, პოლონეთისა და უკრაინის საელჩოებმა. მათივე ძალისხმევითა და მხარდაჭერით გაიზარდა მონაწილე ფოლკლორული ანსამბლების რაოდენობაც.

ფესტივალის, რომლის ავტორი და ორგანიზატორი ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრია, **Black Sea Arena-s**, „Check in Georgia“-ს, კულტურის სამინისტროსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით გაიმართა.



# კახელობა ატამს მდინარეში გადაუახსეს, გურულები თხილს სანაგვეში ბუნებრივად ყრიან



— ეს „ბერძნულაზე“, „გულშიშველა“ რა ღირს?  
 — ორივეს ერთი ფასი აქვს.  
 — და მაინც რამდენი ცალი გამოდის საღი?  
 — მაქსიმუმ 7-8 ცალი, საშუალოდ კი 5-6 ცალსაც ვერ ასწორებს.  
 მეორე ქალბატონმა, როცა კვითხე, რომელ ქარხანას აწვდიდა მიღებულ თხილს, მხარზე ხელი მომითათუნა და ნიშნისმოგებით მითხრა:  
 — ინდემწარმე ვარ, გენაცვალე, ინდემწარმე! სახელი და გვარი არ მაქვს. ქარხნებისთვის კი არა, ჩემთვის ვმუშაობ. ვინც უკეთეს ფასს შემ-

ომთავაზებს, იმას მივიყიდი, ქარხანას რა მნიშვნელობა აქვს.  
 აქვე ერთი ჩამბარებული მეორეს არიგებდა, თხილის მიუღებლობის შემთხვევაში, არ დაეტოვებოდა მიღებულ პუნქტში გატეხილი თხილის ნიმუშები. რატომ-მეთქი, ვკითხე.  
 —10-10 კეკალს ახლა იღებენ სინჯად, რამდენიმე ღლის წინ 100-100 კეკალს იღებდნენ და ტეხდნენ. თუ დაწუნებულ თხილს პატრონი უკან წაიღებდა, გატეხილი ამით რჩებოდა. როგორ ფიქრობ, ასე რამდენი საღი თხილის გული დარჩებოდათ დღეში? ამიტომ, ის 10 კეკალიც არ უნდა

დაუტოვოს არავინ. ჯობია სანაგვეში ჩაყაროს.  
 — საინტერესოა. ეს რომ თქვენს სახელით გამოვაქვეყნო, წინააღმდეგი ხომ არ იქნებით?  
 — ა, კიდო, ახალი ამბავი. თქვენ ჩემი ვინაობა გაინტერესებთ თუ ის, რა ხდება აქანე? თუ რამეს გამოკეთებელი ხარ, ისე ქენი, ცას და ქვეყანას ნუ გადაკიდებ, სულ ნუ დაწერ თუ გინდა.  
 მოკლედ, ასეთი სიტუაცია არის დღეს ოზურგეთში თხილის ყიდვა-გაყიდვაში. თხილის მოსავლის ასე წახდენა იმის შედეგია, რომ პლანტაციებს მასობრივად მოედო მავნებელ-დაავადებები, განსაკუთრებით აზიური ფაროსანა, ჩვენებურად ც.ნა ბობოლი. ც.ნა უძახეთ თქვენ და წლეულს კი დააფსო თხილის მოიმედე მთელი გურია!  
 თხილის მოსავლის მომწვევი მოსახლეობა გაღიზიანებულია იმიტომაც, რომ სეტყვისაგან დაზარალებულ კახელ მევენახეებს ხელისუფლება ფულადი კომპენსაციით დაეხმარა, მავნებელ-დაავადებებისაგან მოსავალგანადგურებულ გურულ გლეხობას კი შემომძახებელიც არავინ ჰყავს, რომ ასაჩუხვად არ მიადგეს სიმწრით გაშენებულ ნარგავებს.  
 მოსავლის ხარისხის გაუარესებამ,

რასაკვირველია, უარყოფითად იმოქმედა თხილის ქარხნების ეკონომიკაზეც. ქართული თხილის გულის ისედაც დაბალი გამოსავლიანობა საგრძობლად შეამცირა დაავადებულმა და უხარისხო მოსავალმა. ამასთან, გამოსავლიანობის პროცენტი კიდევ უფრო იკლებს საწარმოში გადაამუშავების პროცესში, ნაჭუჭიდან გათავისუფლებული თხილის დახარისხებისას.  
 ქარხნების წარმომადგენელთა თქმით, თუ მომავალ სეზონშიც ასე გაგრძელდა, საწარმოებს დაძირვის საფრთხე ემუქრებათ. ერთი კილოგრამი თხილის გულის დამზადება მათ დღეს 13 ლარამდე უჯდებათ, მაშინ, როდესაც ევროპის ბაზარი უფრო დაბალ ფასს, 11 ლარს თავაზობს.  
 გასულ პარასკევს ევროპის ბაზარზე თხილის გულის ფასმა ერთი დოლარით მოიმატა და 5 დოლარი გახდა, რაც, რა თქმა უნდა, არ არის იმის გარანტი, რომ საწარმოები ამ საფრთხეს თავიდან აიშორებენ და არც იმისა, რომ წლევეანდელ სეზონზე ჩვენთან თხილის სარეალიზაციო ფასი გაიზარდება.  
 რაც შეეხება მომავალ სეზონს, აქ თხილის ნარგავობის გადარჩენისა და სარეალიზაციოდ ვარგისი მოსავლის მისაღებად, აუცილებელია მეთხი-



ლეებისა და ხელისუფლების ერთობლივი ძალისხმევა. მასობრივად გავრცელებულ მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ საბრძოლველად პლანტაციების შესაბამისი პრეპარატებით შესწურება უნდა დაიწყოს ადრე გაზაფხულზე და ჩატარდეს რამდენჯერმე და არა ერთჯერადად და ნაყოფის მწიფობის საწყის პერიოდში, როგორც ეს წლეულს მოხდა.

## „ასკანობა“ მემკვიდრეებზე გაიმართა



ასევე თანამედროვე დონის სპორტული მოედანი შეემატა სოფელს, სადაც „ასკანობას“ ბევრჯერ მეტი ხალხმრავლობა იყო. საფეხბურთო ტურნირის ფინალში მასპინძლები მთისპირელებს შეხვდნენ.  
 პირველ ტაიმში მასპინძლებმა დაჯახნეს მეტოქე და ორი გოლი გაუტანეს. თუმცა მეორე ტაიმში მთისპირელებმა ჯერ გაათანაბრეს ანგარიში, (გურამ წყავზარაძე, ირაკლი ინჭკირველი), ხოლო მატჩის მიწურულს გურამ წყავზარაძემ გადამწყვეტი, მესამე გოლიც გაიტანა და მთიპირელები გარდამავალ თასსაც დაეუფლნენ. უნდა აღინიშნოს ასკანელი აქცენტები ქუთათელაძის კარგი მსაჯობა.  
 საინტერესოდ წარიმართა შეჯიბრი დოღში, სადაც ასკანელი, ნაგომრელი, დგაბუელი ცხენოსნები მონაწილეობდნენ. თავდაპირველად 4-4 ცხენოსანი შეჯიბრა ერთმანეთს, საიდანაც 2-2 გამარჯვებული ფინალში დაუშვეს. აქ ასკანელმა ნიკა წყავზარაძემ უმანსოდ დატოვა მეტოქეები და პირველი მივიდა ფინიშიანმეორე-

მესამე ნაგომრელი შალვა მექვაბიშვილის და გაბრიელ დოლიძის ცხენი მივიდნენ ფინიშიან.  
 ასევე საინტერესო გამოდგა მკლავჭიდელთა ასპარეზობა, სადაც გამარჯვებული სოფელ ქვედაბახველი ზურაბ დოლიძე გამოვიდა.  
 ამ დღეს სოფელ მთისპირს ამ სოფლის ძირძველი გვარის შევა-

რნაძეების წარმომადგენლები ესტუმრნენ. ძირითადი დელეგაცია ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხიდან იყო. ამ დღის ღონიძიებაში მონაწილეობდა აკაკი ჰიპოკრატეს ძე შევარდნაძე.  
 სტუმრებს მიესალმნენ: ასკანის საჯარო სკოლის პედაგოგი **დარეჯან შევარდნაძე**, ამ სოფლის კოლორიტი, ცნობილი მშენებელი **რევაზ თავართქილაძე** და ანსამბლ „შვიდკაცას“ სოლისტი **ლევან ნინიძე**.  
 ასკანლებს, სტუმრებს მიესალმნენ გურიის გუბერნატორი **მერაბ ჭანუყვაძე**, ოზურგეთის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი **არჩილ ყაზაიშვილი**, კომპანია „კახური ტრადიციული მეღვინეობა“ დამფუძნებელი **ზურაბ ჩხაიძე**.  
 გაიმართა გამარჯვებულ სპორტსმენთა დაჯილდოების ცერემონია, ხოლო შემდეგ კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ მომღერალი ბექა ჩხაიძე, ქორეოგრაფიული ანსამბლი „ზენაარი“, ეთნო ფოლკლორული ჯგუფი „მხედრები“, ფოლკლორული ანსამბლი „შემოქმედი“.



## მივცემო ტყეებს და ტყის ბინადართი საარჩევნო ხმის უფლება!!!

### ელვა დეპუტა საქართველოს პარლამენტს

ქალბატონებო და ბატონებო, პატრიოტულ პარლამენტარებო, როგორც საქართველოს რიგით მოქალაქეს, საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში წინადადება შემომიტანეს, მივცეთ ტყეებსა და ტყის ბინადართ საარჩევნო ხმის უფლება!!!  
 იმედი მაქვს, ამ წინადადებას კანონპროექტად აქცევთ, თვითმმართველობის არჩევნებამდე პირველი მოსმენისთანავე დაამტკიცებთ და შესაბამის ცვლილებასაც შეიტანთ „საარჩევნო კანონში“. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ პოლიტიკური ხანძრების გადამკიდე, რომლის გამჩენთა ვინაობის დამდგენი, სამწუხაროდ, ვერც თქვენ ხართ და ვერც აღმასრულებელი ხელისუფლება, საქართველოში 21 ოქტომბრამდე აღარც ფლორა შეგვრჩება და აღარც ფაუნა.  
 თუ ამ წინადადებას კანონის სახეს მისცემთ, დაგვიჯერეთ, აღარ დაგვჭირდება არც მეზობელი ქვეყნების შეველმფრენების, არც ოკუპანტი რუსეთის თანამედროვე ხანძარსაწინააღმდეგო ავიაციის, არც ევროკავშირისა და არც დიდი ამერიკის დახმარება ხანძრების ჩასაქრობად. ზოგიერთთან ბოდიშს ვიხდით და, ჩვენი „სახელოვანი“ პოლიტიკოსები, რომელთაც პოლიტიკაზე უფრო სწორედ რომ აბრაგობა ეხერხებათ, დარწმუნებუ-

ლი ბრძანდებოდეთ, გავარდებიან ტყეებში და ვგრევე მოამოთბენ ყველანაირ ცეცხლს.  
 თუ დააკვირდებით, ჩვენს წინადადებაში შემდგომქმედების კონტურებიც კარგად იკითხება. იგივე პოლიტიკოსები იზრუნებენ თითოეული ხისა და თითოეული ცხოველის გადარჩენაზე, უკვე გადახრუკული მასივების უსიერ ტყეებზე გადაქცევაზე იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენს ქვეყანაში თითქმის ყოველწლიურად არჩევნება, რომლის მოსაგებად ფული და ხმება საჭირო. ფული ტყეში ყოველთვის იყო და იქნება, ხმებიც თუ გაჩნდება, ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობა, პოლიტიკოსი თუ არა-პოლიტიკოსი, დედაქალაქის ნაცვლად, ტყეში გადაბარდება.  
 არ გვითხრა ახლა, საარჩევნო სიების ხელახლა დაზუსტება ვერ მოესწრებაო. ვერაფერი არგუმენტი. არ ვიცი, ვის ეკუთვნის, მაგრამ კარგი გამოგონებაა დამატებითი სიები. მე თუ მკითხავთ, ამ სიებში არარსებული მკვდარი სულების შეტანას, ტყე-მცენარეებისა და ცხოველების დარეგისტრირება სჯობია, მით უფრო, რომ დიდი არაფერია დარჩენილი.  
 ელვა დეპუტის ტექსტი ამ დღით, ალიონზე გაზეთ „ალიონის“ რედაქციაში მოამზადა **თემურ მარშანიშვილმა**.



# შოთა გობიბერიძე - „ქართული ოცნების“ მიერ შემოთავაზებული საარჩევნო კანონმდებლობა ხელისუფლების უზურააციისა და საარჩევნო პროცესზე კალაღობის საფუძველს აყალიბებს“

მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ფიქსირდებოდეს პატარა ხარვეზები, რადგან პარტიებს შესაძლებლობა გვაქვს როგორც საოლქო, ასევე საუბნო საარჩევნო კომისიაში დაენიშნოთ წევრი, რომელიც გააკონტროლებს მიმდინარე მოვლენებს.

წინა პრაქტიკებიდან გამომდინარე, საარჩევნო პროცესი უფრო გამჭვირვალეა, მოდიან უცხოელი დამკვირვებლები, არასამთავრობო ორგანიზაციები. ასე რომ, ჩვენი ნდობის ხარისხი მეტია საარჩევნო კომისიის მიმართ.

საარჩევნო კანონში ცვლილებების შეტანა დემოკრატიის ხარისხის კუთხით, უკან გადადგმულ ნაბიჯად მიმაჩნია, თუ არის საუბნო საარჩევნო კომისიაში 13 წევრი, ჩამოდის 12-ზე. შესაბამისად მმართველ პარტიას აქვს გაცილებით მეტი უპირატესობა. ეს შეეხება მომავალ 2018 წლის არჩევნებს.

ოზურგეთის მერობის კანდიდატი „თავისუფალი საქართველოდან“, გიორგი დიმიტრიანაშვილი აცხადებს, რომ საჯარო ადმინისტრაციისადმი მისი ნდობის ხარისხი ნულის ტოლია:



**გიორგი დიმიტრიანაშვილი**  
„საჯაროდ ვაცხადებ, ჩემი ნდობის ხარისხი ნულის ტოლია. არის სერიოზული ეჭვი, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისას სწორედ საარჩევნო ადმინისტრაციის სხვადასხვა მანიპულაციით „ქართული ოცნების“ კანდიდატს გაამარჯვებინეს.“

ნეს. არჩევნების გაყალბების პროცესი იყო სხვადასხვა: მაგალითად, დაბალითურში, ერთ-ერთ საარჩევნო უბანში არჩევნების მიმდინარეობისას, ხდებოდა მოქალაქეების გადაბირება უშუალოდ საარჩევნო კომისიის შენობაში. ისინი შეჰყავდათ ერთ-ერთ ოთახში და ხდებოდა ფინანსური წახალისება.

სოფ. დვავში №25 საუბნო-საარჩევნო კომისიის ერთ-ერთი მთვლელი ჩემს სახელზე ამოსულ ბიულეტენს კითხულობდა, როგორც „ქართული ოცნების“ კანდიდატისას და დედა მის „ყულაბაში“.

სოფელ გურიანთაში №24 საარჩევნო უბანში ხმების დათვლის შემდეგ, საუბნო კომისიის შენობაში შევიდნენ უცნობი პირები და კომისიის წევრებს ჩემი ხმებიდან 30 ბიულეტენი ჩაადებინეს „ქართული ოცნების“ კანდიდატის „ყულაბაში“. ასე დაგვარგე სოფელ მეღვიჟურში №34 საარჩევნო უბანში 18 ხმა, ხოლო სოფელ ლიხაურში (№№ 31,32 საარჩევნო უბანი), 169 ხმის ნაცვლად, 49 ხმა დამიწერეს.

ქ. ოზურგეთის, ანასეულის საარჩევნო უბანში ამომრჩევლებს სამარშრუტო მიკროავტობუსებში აკითხავდნენ და ხმების სანაცვლოდ 50-50 ლარს აძლევდნენ.

რა არის ამის მიზეზი? საუბნო კომისიებში წამყვან პოზიციებზე რჩებიან ის პირები, რომლებიც არჩვენებს აყალბებდნენ, როგორც შევარდნაძის ხელისუფლების, ისე „ნაციონალისტების“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს.“

საარჩევნო ადმინისტრაციას ასევე არ ენდობა საქართველოს ლიბორისტული პარტიის ოზურგეთის რაიონის კოორდინატორი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატი, დავით მამალაძე:



**დავით მამალაძე**  
„საარჩევნო ადმინისტრაციისადმი ნდობის ფაქტორი ნულია, რადგან საოლქო და საუბნო კომისიები წარმოადგენენ ცესკოს ერთიან ორგანიზმს, პრაქტიკულად, კრიმინალურ დაჯგუფებად არიან ქვეყნი და ასრულებენ ერთი კაცის, ერთი ოლიგარქის ბრძანებას. არ არის დაცული პარტიული კვალიფიციური სუბიექტებს შორის და უკვე ათეული წლებია, იქნენ არჩევნების ტოტალური გაყალბების ორგანიზაციად.“

საქართველოს ახლგაზრდა ოპოზიციონერი ასოციაციის ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელის თამაზ ტრაპაიძის აზრით, კანონპროექტს, რომელიც ითვალისწინებს ცვლილების შეტანას საქართველოს ორგანულ კანონში „საარჩევნო კოდექსში“, აქვს თავისი პლუს-მინუსები:



**თამაზ ტრაპაიძე**  
„5 ივნისს საქართველოს პარლამენტში დარეგისტრირდა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს ცვლილების შეტანას საქართველოს ორგანულ კანონში „საარჩევნო კოდექსში“, აქვს თავისი პლუს-მინუსები.“

ქტი, რომელიც ითვალისწინებს ცვლილების შეტანას საქართველოს ორგანულ კანონში- „საარჩევნო კოდექსში“.

აღნიშნული ცვლილებებიდან დაღებით შეფასებას იმსახურებს ის რეგულაციები, რომლითაც მარტივდება საარჩევნო სუბიექტების, სადამკვირვებლო და მედია ორგანიზაციების საარჩევნო ადმინისტრაციებში რეგისტრაცია (შემოდის ნებაყოფლობითი ხასიათის ელექტრონული რეგისტრაცია). აგრეთვე პოზიტიურ შეფასებას იმსახურებს ის რეგულაციები, რომელიც ემსახურება საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის პროცესის გაუმჯობესებას (მათ შორის კოორდინაციას სახელმწიფო უწყებებს შორის, საარჩევნო სუბიექტებისგან განხლებული ინფორმაციის მიღებას და სხვა.). თუმცა, აღნიშნული ცვლილებების პარალელურად, უარყოფით შეფასებას იმსახურებს საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების ახალი წესი, აგრეთვე რეგულაციები, რომელიც გარკვეულ შემთხვევებში ადგენს საარჩევნო ადმინისტრაციის გამჭვირვალეობისა და ანგარიშგაღებულების კუთხით (ცვლილებები მედიის მიერ საარჩევნო კომისიების სხდომების გაშუქების, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემის კუთხით).“

ოზურგეთის №60 საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ზვიად თენიეშვილიამბობს, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია მზად



არის, რომ არჩევნები ჩატარდეს სამართლიანად და ობიექტურად:

**ზვიად თენიეშვილი**  
„საარჩევნო ადმინისტრაცია მზად არის სამართლიანი და ობიექტური არჩევნების ჩატარებად. საამისოდ, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არაერთი პროექტი განახორციელა. ჩვენი პროექტი- „გვსაუბრებით ამომრჩევლებს“ განხორციელდა როგორც რაიონში, ასევე ოთხ თემში. შევხვდით დაახლოებით 800 ამომრჩევლებს. მათ გამოთქვეს საკუთარი მოსაზრებები, რომელიც დამუშავდა და გადაიზარდა ცესკო-ში. ასევე გვექონდა პროექტი „საზაფხულო სკოლა“, სადაც ახალგაზრდებმა მიიღეს ინფორმაცია არჩევნების შესახებ. უშუალოდ კენჭისყრის დღეს მიემდგინა პროექტი „საარჩევნო ადმინისტრაციის კურსები“ სულ გადავამზადეთ 120 ადამიანი, რომლებიც არჩევნების დღეს ჩაერთვებიან საარჩევნო პროცესში.“

ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიაში ცესკო-ს მიერ დანიშნული წევრების სია უცვლელია და დღეს ასე გამოიყურება: ზვიად თენიეშვილი (თავმჯდომარე); ელგუჯა ჩხატარაშვილი (მოადგილე); ნათია ცეცხლაძე (მდივანი); თეიმურაზ კაჭარავა, თამთა გიორგაძე (წევრები).  
**გიორგი ასათიანი,** გაზეთი „ალიონი“, ოზურგეთი

სტატია ქვეყნდება პროექტის „გაცნობიერებული არჩევანი-დემოკრატიის ფუნდამენტი“ ფარგლებში. ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

## ანტონ სტობარტი - გურიის ისტორიის უცხოელი გულშემატკივარი



ამ დღეებში ოზურგეთის ისორიულ მუზეუმს ინგლისელი ანტონ სტობარტი ეწვია,რომელმაც საინტერესო მასალები გადმოგვცა. ანტონი გურულების სიძეა,მისი მეუღლე მაკანეთელი ნანა ინგოროყვაა. მათ ერთ-მანეთი 2000 წელს თბილისში გაიცნეს უცხოელების საზაფხულო სკო-

ლაში, ანტონი მოსწავლე იყო ნანა - ერთ-ერთი მასწავლებელი. 2004 წელს იქორწინეს. ჰყავთ ორი შვილი: ქრისტოფორე და ქეთრინი. ანტონი დაიბადა ლონდონში, დაამთავრა კემბრიჯის უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტი, ამჟამად მუშაობს ლონდონში ბუნებულ მე-

ერთ-ერთ დიდ ფირმაში.კითხვაზე თუ როდის დაინტერესდა ქართული ენით, მიპასუხა: ჯერ რუსული ვისწავლე, როცა რუსულს ვსწავლობდი, გავეცანი მასალებს საქართველოს შესახებ. ძალიან მომეწონა ქართული დამწერლობა.

პირველად ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმს ხუთი წლის წინათ ესტუმრა ოჯახის წევრებთან ერთად.

„14 წელია გურულების სიძე ვარ. შევეცადე, გამეცნო გურიის ისტორიული წარსული, ბრიტანეთის ბიბლიოთეკაში გურიის შესახებ მოვიპოვე და გავიცანი შემდეგი მასალები: დიუბუა დე მონპერეს (შვეიცარიელი მოგზაური და სიძველეთა მკვლევარი) „მოგზაურობა კავკასიაში“, დიმიტრი ბაქრაძის „მოგზაურობა გურიაში და აჭარაში“ და ნიკო მარის „1905 წლის გურიის დაკვირვებები და შთაბეჭდილებები.“ ვნახე ასევე დიუბუა დე მონპერეს მიერ გადაღებული ფოტოები, - გვითხრა სტუმარმა.

დიუბუა დე მონპერეს ნაშრომი „მოგზაურობა კავკასიაში“ ექვსი ტომისაგან შედგება. მესამე ტომში შესულია „გურიის პროვინცია“. აი ეს ნაშრომი გადმოგვცა ბატონმა სტობარტმა. მანვე ჩამოიტანა ფოტოები: „ოზურგეთის ხედი“, „ასკანის ციხე“,

„ვაშნარის გეგმა“, „გურიელი ერისთავების სახლი ერკეთში“, „თბილისის ხედი“, სულ ექვსი ფოტო.

ბატონმა ანტონმა გვიამბო ვადიმ ლეკვიანაძის სტატიის შესახებ ვაშნარზე, რომელიც გამოქვეყნებული იყო ურნალ „საბჭოთა არქეოლოგიაში“ (1972წელი). მეორე დღეს შვილებთან ერთად კვლავ გვეწვია ვაშნარის ნაქალაქარის წარწერიანი ქვის სანახავად. ბატონმა ანტონმა მითხრა, რომ გუშინ ალაბარში (გურიელების ყოფილი ერთ-ერთი რეზიდენცია) დღეს სოფელი ქობულეთის მუნიციპალიტეტში) ვიყავი და ძალიან დავსოლდი, იმ წამსვე გაასწორა „დავსველდი“. ამ სიტყვაზე მარჯორი უორდროპი (ინგლისელი ქართველოლოგი) გამახსენდა და მოვეუყვით აკაკი წერეთელის „საუბარი ინგლისელ ქალთან“. მკითხველს შევასწავნებ: „ამას წინათ ერთი ახალგაზრდა, ცქრიალა, ინგლისელი ქალი გამაცნეს, რომელიც კარგად ლაპარაკობდა ქართულად. მხოლოდ გურულად კი უქცევდა კილოს მე, რასაკვირია ის ჩვენში დაბადებული და აქვე გაზრდილი მეგონა, მაგრამ გამოდგა, რომ სტუმრათ ყოფილა მოსული ერთ მის ნათესავთან და მას აქეთ რაც მოსულა,ორი წელიწადის

მეტი არ გასულა. გამოვიკირდა და ვკითხე: ასე ჩქარა როგორ შეისწავლეთ მეთქი? სიცილით მიპასუხა:“თუ კი მოინდობა, ორი წლის განმავლობაში, რომ კაცმა ენა ვერ ისწავლოს, აბაღალი უნდა იყოს, ეს რომ თქვა „ალბათ, იფიქრა ჩემზე,რომ ამ გურულ სიტყვას „აბაღალს“ ვერ გაიგებო და გადაასწორა: „უვარგისო“. უნდა მოგახსენოთ,რომ პატივისცემა ვიგრძენი არა მარტო ამ ქალისადმი, თვით იმ ხალხისაც კი,რომელსაც ამგვარი ქალები ეკუთვნიან“ (აკაკი წერეთელი „საუბარი ინგლისელ ქალთან“,ტომი V,თბ.1990წ. გვ.225). ბატონი ანტონი,რომელმაც ძალიან კარგად იცის ქართული, მესამედ მოვიდა მუზეუმში,ზემოთ აღნიშნული წერილის გასაცნობად.და შეგვიკირდა სამომავლოდ დახმარებას.

**მანანა ლომაძე,** ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ფონდების მცველი.

**P. S.** „ალიონის“ მკითხველები მალე გაეცნობიან დიუბუა დე მონპერეს „გურიის პროვინციას“ ქართულ ენაზე.

# დროა, ჩაის ახალი პლანტაციების გაშენებაზე ვიზრუნოთ



ჩაის არსებული პლანტაციების აღდგენა-რეაბილიტაცია, რომელიც სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაის“ ფარგლებში მიმდინარეობს, ერთგვარ მოტივაციას ქმნის დარგის განვითარებისათვის. მომდევნო ეტაპზე რეაბილიტაცია უნდა განხორციელდეს ახალი პლანტაციების გაშენების ხარჯზე

ჩაის პლანტაციის რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამაში, რომელიც უკვე მეორე წელია მიმდინარეობს, ჩართულია კერძო კომპანიები, შპს-ები, კოოპერატივები სამეგრელოს, გურიის, იმერეთის რეგიონებიდან. რეაბილიტაციის პროცესში გამოჩნდა ბევრი ხარვეზი და გაუთვალისწინებელი მომენტები, თუმცა, ჩვენი აზრით, პირველ ეტაპზე ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია მინც ერთჯერადი დროებითი ღონისძიებაა, რადგან ისედაც ასაკოვანი (70-80 წელი) ჩაის ბუჩქები, სტადიური გაახალგაზრდავების მიუხედავად, ვერ მოგვცემენ ჩვენთვის სასურველ მაღალ და ხარისხოვან ნედლეულს. მაშ რა არის გამოსავალი? დროა რეალურად ვიფიქროთ ჩაის ახალი პლანტაციების გაშენებაზე, ისე, როგორც ამას აკეთებენ ჩაის მწარმოებელი კლასიკური ქვეყნები, სადაც ყოველწლიურად ხდება მთელი ნარგაობის 2-3%-ის ამოძირკვა და ახალი პლანტაციების გაშენება, მაღალპროდუქტიული ჯიშებით..

მაშინ, როდესაც მსოფლიოში ჩაის პროდუქციაზე მოთხოვნა იზრდება და მითუმეტეს ქართულ ჩაიზე, როგორც ეკოლოგიურად სუფთა ნაკლებკოფეინიან პროდუქტზე, რატომ არ უნდა გაგვანდეს ინტერესი და სახელმწიფოებრივი ხედვა ამ დარგის ინტენსიური განვითარებისათვის? ბევრჯერ გვითქვამს და კიდევ ვიმეორებთ - დასავლეთ საქართველოს ტიპურ წითელმიწა, ეწერმიწა და ყვითელმიწა ნიადაგებზე ჩაის კულტურას ალტერნატივა არ გააჩნია. საქართველოში დღეისათვის მოქმედმა კომპანიებმა, შპს-ებმა, კოოპერატივებმა თამამად უნდა გადადგან ნაბიჯი თავისუფალ ფართობებზე ახალი პლანტაციების გასაშენებლად, ასევე დაკნინებული, უპერსპექტივო ჩაის პლანტაციების ამოძირკვაზე და ახლით შეცვლაზე. ფერმერულ-გლეხური მეურნეობები, რომლებმაც გასული 15-20 წლის მანძილზე სპონტანურად ამოძირკვეს ჩაის ნაკვეთები და სხვა კულ-

ტურები გააშენეს, დღეს ბევრი მათგანი აღიარებს დაშვებულ შეცდომებს. ამ ვანდალიზმს ხელს უწყობდა ასევე ხელისუფლების ზედა ემულონებში მოკალათებული „ვაი პატრიოტები“ რომლებიც ჩაის მონურ კულტურად აცხადებდნენ. ჩვენ, მეცნიერ სპეციალისტები, თავიდანვე ვწერდით და ვაპროტესტებდით მათ ქმედებებს, თუმცა უშედეგოდ. საპასუხოდ დღეს ბევრი მოგვმართავს კითხვით, სად შეიძლება ვიშოვოთ თესლი ან ნერგი ჩაის ახალი პლანტაციების გასაშენებლად? პასუხი ერთია: არ არსებობს ჩაის სპეციალური სათესლეები და არც სანერგეები. ყველაფერი, რაც კი მეჩაიეობის დარგს ამ მიმართულებით გააჩნდა, სტიქიურად განადგურდა. ის მცირე რაოდენობის თესლიც კი, რომელიც შემოდგომაზე პარტიზანულად გროვდება ჩვენთან შემორჩენილ ჩაის პლანტაციებში, - გააქვთ აზერბაიჯანსა და თურქეთში ჩაის ახალი ნაკვეთების გასაშენებლად.

უკანასკნელ წლებში კლიმატური პირობების მკვეთრი ცვლადობის ფონზე მანებელ-დაავადებათა ინტენსიური განვითარების შედეგად, თხილისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაბალი და უხარისხო მოსავლიანობის გამო ჩვენს მოსახლეობას რეალურად გაუჩნდა მოტივაცია ჩაის არსებულ ნარგაობის რეაბილიტაციისა და ახლის გაშენების თაობაზე, რაც კანონზომიერ მოვლენად მიგვაჩნია.

მეჩაიეობის დარგის განვითარების ხელშეწყობის მიზნით კარგი იქნება თუ ქვეყნის ხელისუფლება შეიმუშავებს და სამოქმედოდ მიიღებს „ჩაის ახალი პლანტაციების გაშენების სახელმწიფო პროგრამას“ რომლის შესრულება თანდაფინანსების პრინციპზე იქნება დაფუძნებული. აქვე პირველი რიგის ამოცანად უნდა დაისახოს პლანტაციების გასაშენებლად საჭირო ჩაის ხარისხოვანი თესლით მოსახლეობის უზრუნველყოფის საკითხი. პირველ ეტაპზე ამ პროცესში ჩართული უნდა იქნას საპარტნიორო ფონდი, რომელიც ჩინეთთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე შემოიტანს და ბენეფიციარებს უზრუნველყოფს ჩაის პლანტაციების გასაშენებელი თესლით. შემდგომ ეტაპზე-თვით საქართველოს ტიპურ მეჩაიეობის ზონებში უნდა შეიქმნას ჩაის მაღალხ-

არისხოვანი ჯიშების სპეციალური სათესლე პლანტაციები, რომლებიც ადგილობრივი წარმოების თესლით უზრუნველყოფენ მოსახლეობის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ გლობალური კლიმატური ცვლილებების ეპოქაში, რომელიც უკვე მიმდინარეობს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა დარაინებისა და განაშენიანების სწორ და რაციონალურ სისტემას. ჩვენ ათეული წლების წინ ვაანონსებდით აღნიშნული პრობლემის მიზანმიმართულად ამოქმედებას, თუმცა ქვეყანაში სადაც ჯერ კიდევ არ არის გამოკვეთილი სასოფლო-სამეურნეო დარგების პრიორიტეტები, მოსახლეობა ქაოტურად მოქმედებს და ცხოვრობს „დღევანდელი კვერცხის“ ფილოსოფიით. სპონტანურად აშენებს ისეთ კულტურებს, რომლებიც საბაზრო ღირებულებით ამ მომენტისათვის მომგებიანია, მაგრამ ვერ აანალიზებს მსოფლიო ბაზარზე კულტურათა წარმოებისა და კონკურენციის მოსალოდნელ მიმდევრებს, ასევე არ ითვალისწინებს ახალი კულტურებისათვის მოსალოდნელ იმ არასტაბილურ კლიმატურ პირობებს, რომლებსაც ჩვენს სუბტროპიკულში მოაქვს კატასტროფული შედეგები. ვინ უნდა მისცეს მათ სწორი რეკომენდაცია? რა თქმა უნდა, შესაბამისმა სახელმწიფო სტრუქტურებმა, რომლებიც უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ მეცნიერულად დასაბუთებულ და პრაქტიკულად აპრობირებულ რეკომენდაციებს.

დღეის მონაცემებით, დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში თხილის კულტურა ლიდრობს, შემდეგ ციტრუსები და ჩაი. თუმცა ფერმერულ მეურნეობებში პროგრამა „დაწერე მომავლის“ ფარგლებში აქტიურად აშენებენ კენკროვნებს (ლურჯი მოცვი, მაყვალი, ყოლო), კაკლოვნებს, კურკონებს, თესლოვნებს, რომელიც სახელმწიფოსაგან 70%-იან თანადაფინანსებას ითვალისწინებს. ამ პროგრამით სასარგებლო საქმე კეთდება, თუმცა კარგი იქნებოდა ამ პროგრამაში ჩაის ახალი პლანტაციების გაშენებაც ყოფილიყო ჩართული.

სახელმწიფოსაგან მეჩაიეობის დარგისადმი ასეთმა ნეგატიურმა დამოკიდებულებამ მიმდევრად დაასვა სუბტროპიკული ზონის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს, სოფლად დარჩენილი მოსახლეობის ის მცირე ძალაც კი სეზონურად თურქეთში გადის ჩაისა და თხილის საკრეფად. დღეს ყველა ვადიარებთ დაშვებულ შეცდომებს, მაგრამ დარგში რადიკალური გარდაქმნები ვერ ხორციელდება, არადა, ჩაის კულტურის პროპაგანდა, დარგისადმი ხელშეწყობა ამ ზონის გაღატაკებული მოსახლეობის უკუმიგრაციის, მათი დასაქმებისა და მატერიალური კეთილდღეობის ძირითად პირობად მიგვაჩნია. ბევრი შეიძლება წერო ჩაის კულტურის დადებით მხარეებზე, თუმცა ჩვენი ფერმერებისათვის, გლეხებისათვის და ზოგადად მოსახლეობისათვის კარგი იქნებოდა თუ კიდევ ერთხელ მივაწოდებდით მოკლე ინფორმა-

ციას მეჩაიეობის დარგის სამეურნეო, ეკოლოგიურ და ეკონომიკურ ფასეულობებზე.

## ა) სამეურნეო ასპექტები:

ჩაის კულტურის ადაპტირების მაღალი უნარი გლობალური კლიმატური ცვლილებების მიმართ.

ყოველწლიური გარანტირებული და სტაბილური მოსავალი.

დასავლეთ საქართველოს მუხავე წითელმიწა, ეწერმიწა ყვითელმიწა ნიადაგებისადმი დიდი შემგუებლობა.

პლანტაციების ხანგრძლივი (80-100 წელი) საექსპლუატაციო ვადა.

მუშახელის დატვირთვის ხანგრძლივობა (7-8 თვე).

ყინვაგამძლეობა, ზამთარგამძლეობა, მანებელ-დაავადებათა მიმართ მდგრადობა.

მცენარის ბიოპოტენციალის მაქსიმალური-უდანაკარგო გამოყე-



ნება (ნაზი, მოუხემო, უხეში ნედლეული).

## ბ) ეკოლოგიური ასპექტები:

ჩაის მცენარის ფესვთა სისტემა, როგორც ნიადაგდამცავი, ეროზიული მოვლენების შემცირებელი ფაქტორია.

ჩაის ბუჩქის შეკრული ვარჯი, როგორც წყალშეკავების უნარისა და ნიადაგის მზის პირდაპირი სხივებისაგან დაცვის საშუალება.

ჩაი, როგორც მარადმწვანე მცენარე წლის ყველა პერიოდში ატმოსფეროს სუფთა ჟანგბადით გამდიდრების საშუალება.

ჩაის ნარგაობა, როგორც მზის სხივური ენერჯის აკუმულირებისა და ზამთრის პერიოდში რბილი მიკროკლიმატური პირობების შექმნის საშუალება.

ჩაის ნარგაობა, როგორც ნიადაგის გამაქვითილობილებელი საშუალება.

ჩაის ხავერდოვანი მწვანე ზედაპირი, როგორც ვეგეტაციური-დეკორაციული განაშენიანების საუკეთესო ობიექტი, დასვენებისა და ტურიზმის განვითარების საუკეთესო პირობა.

## ბ) მკონომიკური ასპექტები:

ერთი ჰექტარი სრულმოსავლიანი პლანტაციის საშუალო მოსავლიანობა 6-7 ტონა ნედლეული (1,5-2,0 ტონა მზა პროდუქცია).

ნედლეულის საშუალო სარეალიზაციო ფასი კგ 2,0-2,5 ლარი.

მზა პროდუქციის საშუალო სარეალიზაციო ფასი კგ 20-25

ლარი.

ერთი კგ მზა პროდუქციის საშუალო თვითღირებულება 13-15 ლარი.

ერთი ჰექტარი ჩაის პლანტაციისაგან მიღებული მზა პროდუქციის ღირებულება 30-40 ათასი ლარი.

სუფთა მოგება 20-22 ათასი ლარი.

პროდუქციის შენახვის, ტრანსპორტირების და რეალიზაციის მთელი წლის განმავლობაში შესაძლებლობა.

აი, იმ ფაქტორთა მცირე ჩამონათვალი, რომლითაც ეს კულტურა გამოირჩევა და აღიარებას პოულობს მსოფლიო მსაშტაბით. თუ ამას დავემატებთ ჩაის, როგორც სასემელის სამკურნალო-პროფილაქტიკურ, და დიეტურ მნიშვნელობას, მაშინ ამ კულტურის ღირსება შეუდარებლად გაიზრდება. საბედნიეროდ, როგორც ადრინდელი გამოცდილება გვიჩვენებს, ჩვენი ქვეყნის ნიადაგურ-კლიმატური პირო-

ბები იძლევა ამ კულტურის ინდუსტრიული განვითარებისა და მოსახლეობის დასაქმების მაქსიმალურ გარანტიას.

დღეისათვის სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების კვლევის სამსახურის სპეციალისტები აქტიურად მუშაობენ ჩაის კულტურის აღდგენა-რეაბილიტაციისა და ახალი ჩაის პლანტაციების გაშენებისათვის საჭირო მეცნიერულ-ტექნიკური დოკუმენტაციების შემუშავებაზე, ფერმერულ და გლეხურ მეურნეებს უწევენ პრაქტიკულ დახმარებას არსებული ჩაის პლანტაციების შესწავლა-დიაგნოსტიკის, ნიადაგის ქიმიური ანალიზის ჩატარების და სარეაბილიტაციო აგროტექნოლოგიური პროგრამების მომზადების საკითხებში. ასევე კვალიფიციური დახმარება გაეწევათ იმ ბენეფიციარებს, რომლებიც დაინტერესებული იქნებიან ჩაის ახალი პლანტაციების გაშენების საკითხებითაც.

## ზაურ ბაბრიჩიძე

ს/მ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
**იოსებ ბასილია**

ს/მ მეცნიერებათა დოქტორი სოფლის-მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების კვლევის სამსახური









# ელენე ლომაძე კონსერვატორიის სტუდენტია



„მომავლის ვარსკვლავების“ (კლასიკური მუსიკის მეოთხე საერთაშორისო კონკურსი) გამარჯვებული, ალანას (თურქეთი) მეხუთე ინტერნაციონალური ფესტივალის ლაურეატი და ა. შ.

ელენე რამდენიმე დღეში დედაქალაქს გაემგზავრება და კონსერვატორიაში სტუდენტურ ცხოვრებას შეუდგება. მას კონსერვატორიაში სწავლისას ყოველწლიურად 2250 ლარის გადახდა მოუწევს. ვიმედოვნებთ, რომ თურგეთელი ბიზნესმენები, ვისთვისაც მეცნაბეობა ნამდვილად არ არის უცხო ხილი, უწყურადღებოდ არ დატოვებენ მომავლის მუსიკოსად აღიარებულ თურგეთელ გოგონას და მას დაეხმარებიან სწავლის საფასურის დაფარვაში.



**ალიონი.** თურგეთის საბუსიკო სკოლის კურსდამთავრებული, საფორტეფიანო განყოფილების პედაგოგ მანანა ლომაძის მოსწავლე, თურგეთელი **ელენე ლომაძე** საქართველოს სახელმწიფო კონსერვატორიის ფასიანი სწავლების სტუდენტი გახდა.

როგორც საბუსიკო სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა ლელა შარაშენიძემ გვითხრა, 20 წლის ელენე 12 წელია ფორტეფიანოს ეუფლება, საბუსიკო სკოლის სრული, შვიდწლიანი კურსის გავლის შემდეგ, წარმატებით დაამთავრა კონსერვატორიასთან არსებული ხუთწლიანი და პირდაპირ კონსერვატორიაში მოხვდა.

პედაგოგ მანანა ლომაძის თქმით, ელენე კონსერვატორიაში პროფესორ მანანა გოცირიძის კლასში განაგრძობს სწავლას:

„ელენეს გაუმართლა, უფრო სწორად ელენემ დაიმსახურა, რომ პროფესორ მანანა გოცირიძის კლასში მოხვდა. თვითონ ქალბატონმა მანანამ აირჩია და აიყვანა. პირადად ჩემთვის ეს მოულოდნელი არ ყოფილა. ჩემს ელენეს ისეთი საშემსრულებლო სტილი, ისეთი დახვეწილი და გემოვნებიანი ბგერა აქვს, რომ მოუსმინოთ, მოხიბლული დარჩებით. ჩემი აზრით, დიდი მუსიკოსი უნდა დადგეს“.

ელენე ლომაძემ ჯერ კიდევ თურგეთის სამრეგლო და საბუსიკო სკოლებში სწავლის პერიოდში მიაღწია წარმატებებს საკამოდ რეზონანსულ რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო ფესტივალებსა და კონკურსებში. არის კლასიკური მუსიკის მესამე საერთაშორისო კონკურსის (20-4 წ.), ასევე ბათუმში ჩატარებული

## საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ასკანელ ბავშვებს საქართველოს ნაკრების ფორმები გადასცა



**ალიონი.** 30 აგვისტოს, თურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ასკანაში, სახალხო დღესასწაული „ასკანობა“ გაიმართა. აქ გამართულ სპორტულ ღონისძიებებში (ფეხბურთი, დოლი, მკლავჭიდი და ა.შ.) თურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების რამდენიმე სოფლის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

წელს ასკანლებს დიდი საჩუქარი გაუკეთა ბიზნესმენმა ზურაბ ჩხაიძემ, რომელმაც სოფლის ცენტრში გაკეთდა შესანიშნავი სპორტული ბაზა, სადაც არის ბუნებრივსაფარიანი ფეხბურთის მოედანი და აქვე ფერხბურთის მოედანიც.

ასკანობის ყველაზე ხალხმრავალი ადგილი სწორედ სპორტული ბაზა გახდა. სადაც ამ დღეს გამართული ტურნირის ფინალში ძველი მეტოქეები ასკანისა და მთისპირის გუნდები შეხვდნენ

ერთმანეთს, რომელიც სტუმრების გამარჯვებით დამთავრდა.

ამ მატჩს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **კახა ჭუმბურიძე** ესწრებოდა, რომელმაც მატჩის შემდეგ ასკანელ ნორჩებს საქართველოს ნაკრების ფორმები გადასცა.

კახა ჭუმბურიძემ გაზეთ „ალიონთან“ აღნიშნა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დიდ მუშაობას ეწევა რეგიონებში ბავშვთა ფეხბურთის განვითარებისათვის. ხელს უწყობს სხვადასხვა ტურნირების გამართვას.

—არაჩვეულებრივი სტადიონი არუქა ამ სოფელს ჩხაიძეებმა. აქ ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას კარგი პერსპექტივა აქვს. ჩვენ უკვე გადავამზადეთ ბავშვთა ფეხბურთის მწვრთნელებად ასკანელი აქვსენტი ქუთათელაძე და მთისპირელი რევაზ კალანდაძე. საქართველოს ნაკრების ფორმას კი სიმბოლურად ვჩუქნით პატარებს, რომ გაუჩნდეთ მისწრაფება სოფლის პატარა სტადიონიდან დიდი ფეხბურთისაკენ — გვითხრა კახა ჭუმბურიძემ.

# გილოცავთ!

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიურ დოქტორს, ჩვენი გაზთვის მეგობარსა და გულშემატკვრელს, ღვაწლმოსილ პიროვნებას, **ნაცვან**

## გამბიულ გოგონას

დამადგინდნ 75 წელი შეუსრულდა. ვულოცავთ მას იუბილს, სანგბდლივ სიცოცხლესა და კვლავ წაბმაცვბივმს ვულოცავთ!



ჩვენი უსაცვარლეს, უკეთილშინილეს, თბილეს, ყრბა-დღობიანეს, სულიერად და ფიზიკურად ლამაზეს, წიგნიერ თქვასის თავქალეს, პაცივისცემის დიდი გბბმბით, დაბრმისილეს, ბრწყინვალე პედაგოგ

მზგბბბბბბბბბბბ, სალისიან დღე-ღობბბბბბბბბბბბ, თბილეს, ყრბა-დღობიანეს, სულიერად და ფიზიკურად ლამაზეს, წიგნიერ თქვასის თავქალეს, პაცივისცემის დიდი გბბმბით, დაბრმისილეს, ბრწყინვალე პედაგოგ

დიდსანს გაგვლამაზგბბბბბბბ ჩვენი ცხთვრბბა შინი გვრბბბბბბბბბბბ

ქალმაცვდნლ ლამაზბ! გილოცავთ დამადგინის დღეს. გისურვებთ ჯანმბბბბბბბბბბბ

უსაზღვრბბბ გვიყვარბბბ და გვიმღობბბ

**შენი ძმბრვასი რკლბბბ.**

## იყიდება


**ქალაქ ოზურგეთის ცენტრში 300-კაციანი საბანკბბბო დარბბბაზი.**

**დაბვიკავბბბბბბბბბბბ**

**მობ. (514) 03 80 03**



## ავტომობილები განვადებით



„იმპორტი-2“ ბთავაზობთ ავტომობილების და სხვა საბრანსპორტო საშუალებების ბრანსპორტირბბბას ავბ, მბრბბბის და იავბონბბბი (მბრცხმნა საჭმ) სალილბბბო ბბბბანიმბბბბბბბ და აუბბბბბბბბბბბბბბბ

**ბბლ. 595 11 10 30, ზურბ, მბსამბბბბბბბ 26 მბბბბბბბ ბბბბ 11ბ.**



## 7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, ღრუბბბლი +19+30  
4 სექტემბერი ორშაბათი

მზე, ღრუბბბლი +18+26  
5 სექტემბერი სამშაბათი

ზვბბბა +18+27  
6 სექტემბერი ოთშაბათი

ზვბბბა +15+22  
7 სექტემბერი ხუთშაბათი

მზე, ღრუბბბლი +13+20  
8 სექტემბერი-პარასკევი

მზე, ღრუბბბლი +14+21  
9 სექტემბერი შაბათი

მზე, ღრუბბბლი +13+20  
10 სექტემბერი კვირა